საქართველოს ოლიმპიურ მოძრაობას გზა ეხსნება საერთაშორისო თანამეგობრობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვი (ტელეფონით). აქ გაიმართა სსრკ-ის ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის სხდომა. მკითხველებს თავიდანვე შევახსენებთ, რომ სსრკ ოკ-ი ერთადერთი იურიდიული ორგანიზაციაა, რომელსაც აღიარებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი და დღემდე ის წარმოადგენს ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიას სოკ-ში.

სსრკ-ის ოკ-ის აღმასკომმა ერთხმად დაუჭირა მხარი საქართველოს, მოლდოვას და სომხეთის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ ამ რესპუბლიკების ეოკ-ების აღიარების თხოვნას. ეს პროცედურა აუცილებელი იყო, რადგან ანალოგიური დოკუმენტი სოკ-მა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებსაც მოსთხოვა აღიარების წინ. საქართველოს, მოლდოვას და სომხეთის ეოკ-ების მხარდაჭერის საკითხი განიხილეს აგრეთვე იმავე დღეს გამართულ რუსეთის ეოკ-ის აღმასკომის სხდომაზე. დოკუმენტი სსრკ ოკ-ის მიერ ჩვენი ცნობა-აღიარების შესახებ, რომელიც დაუყოვნებლივ გაიგზავნება სოკ-ში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტის და სსრკ ოკ-ის პრეზიდენტის ვიტალი სმირნოვის ხელმოწერით, მხოლოდ დააჩქარებს ჩვენს აღიარებას. სსრკ ოკ-ის აღმასკომმა, საქართველოს ეოკ-ის თხოვნით, რეკომენდაცია მისცა საბჭოთა კავშირის სპორტის ოლიმპიურ სახეობათა ფედერაციებს, რომ მათ შუამდგომლობა აღძრან საერთაშორისო ფედერაციების წინაშე თავიანთ რიგებში საქართველოს სპორტული ფედერაციების გაწევრიანების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ სსრკ ოკ-ის აღმასკომის სხდომის მუშაობაში საკავშირო სპორტული ფედერაციების თითქმის ყველა პრეზიდენტი მონაწილეობდა. სხდომაზე აუცილებელი გახდა კიდევ ერთხელ განგვემარტა საქართველოს დამოკიდებულება ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებში რესპუბლიკის სპორტსმენთა მონაწილეობის საკითხთან დაკავშირებით. ვეყრდნობოდით რა ამ საკითხზე სეოკ-ის აღმასკომის, რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს, ჩვენი სპორტული ფედერაციების ცნობილ პოზიციას, გაკეთდა ასეთი განცხადება:

1. საქართველო ყველაფერს იღონებს, რათა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა უახლოეს პერიოდში სცნოს იგი და ამით მიიღოს ბარსელონაში დამოუკიდებელი გუნდით გამოსვლის უფლება;

2. იმ შემთხვევაში, თუ სოკ-ი არ შეცვლის თავის ადრინდელ გადაწყვეტილებას და 1993 წლამდე არ განიხილავს მის შემადგენლობაში ახალ წევრთა მიღების საკითხს, მაშინ ოლიმპიური მოძრაობის, აგრეთვე თვით სპორტსმენთა ინტერესებიდან გამომდინარე, სეოკ-ის აღმასკომი დამატებით იმსჯელებს იმის თაობაზე, გამოვლენ თუ არა საქართველოს სპორტსმენები სუვერენულ სახელმწიფოთა გაერთიანებულ (და არა ერთიან, რასაც განსაკუთრებით გაესვა ხაზი) ოლიმპიურ გუნდში დაკომპლექტების ობიექტურობის დაცვით, მხოლოდ და მხოლოდ ოლიმპიური დროშით და ოლიმპიური ჰიმნით. ბუნებრივია, თამაშების გახსნა-დახურვის ცერემონიალისას, დაჯილდოებისას, განსაკუთრებით კი ოქმებში, სრულად უნდა წარმოჩნდეს ის სუვერენული სახელმწიფო, რომლის წარმომადგენელიც არის ესა თუ ის სპორტსმენი. .

საქართველოს ეოკ-ის დელეგაცია მარტში სამარანჩთან ლოზანაში შეხვედრისას წამოჭრის საკითხს სოკ-ის მიერ ჩვენი ეოკ-ის შუალედური აღიარების აუცილებლობის თაობაზე;

3. თუ სოკ-ი შერჩევითი პრინციპით აღიარებს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებიდან რომელიმეს და მას ნებას დართავს დამოუკიდებელი გუნდით იასპარეზოს, მაშინ საქართველოს ეოკ-ი იტოვებს უფლებას მიიღოს შექმნილი სიტუაციის ადეკვატური გადაწყვეტილება.

რუსეთის ოკ-ის აღმასკომის სხდომამ სასწრაფოდ განიხილა სოკ-ში გაწევრიანების თაობაზე თხოვნის შეტანის საკითხი. აღმასკომმა მიმართა როგორც რუსეთის პრეზიდენტს ბ. ელცინს, ისე სსრკ ოკ-ის პრეზიდენტს, მხარი დაუჭირონ ამ თხოვნას.

ჟურნალისტებისთვის გამართულ პრეს-კონფერენციაზე, რომელსაც უცხოეთის საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლებიც მრავლად ესწრებოდნენ, ვ. სმირნოვმა განაცხადა, რომ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ეგზავნება შუამდგომლობა საქართველოს, მოლდოვას და სომხეთის სოკ-ში გაწევრიანების თხოვნით. რუსეთის ეოკ-ის პრეზიდენტმა ვასინმა პრეს-კონფერენციაზე თქვა, რომ, თუ სოკ-ი არ აღიარებს რუსეთის ეოკ-ს, მაშინ ამ ქვეყნის სპორტსმენები გამოვლენ თანამეგობრობის გაერთიანებულ დელეგაციაში.

საკავშირო ფედერაციები ვ. სმირნოვის განცხადების შემდეგ განსაკუთრებით დაინტერესდნენ საქართველოს შემდგომი პოზიციით. საქმე ისაა, რომ ეს ფედერაციები, ადრე სისხლს რომ უშრობდნენ ქვეშევრდომებს რესპუბლიკებში, ახლა საოცრად მოლბნენ, მლიქვნელობენ, იმუდარებიან, ოღონდ თავი გადაირჩინონ და არ გაწყდეს თანამშრომლობა, მაგრამ მწარე გაკვეთილები ყველას კარგად ახსოვს, ვეჭვობთ, ვინმემ კვლავ მოისურვოს, თავი გაყოს მონობის უღელში.

ემზარ ზენაიშვილი,
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი.

მოსკოვი, 21 დეკემბერი.

ლელო
საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს გაზეთი
21 დეკემბერი, შაბათი, 1991 წ.
№ 244-245 (10 658) ფასი 10 კაპ.
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

კალენდრები სეოკ-ის ემბლემით

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საწარმოო-სამეურნეო განყოფილება აუწყებს სეოკ-ის რეგიონალური ჯგუფების ხელმძღვანელებს, რომ სეოკ-ის ემბლემით დამზადებულია 1992 წლის ორი ნაირსახეობის კალენდარი. გაყიდული პროდუქციის 40 პროცენტი დარჩება რეგიონალურ ჯგუფებს.

და კიდევ, დაინტერესებულ საწარმოებს, რომლებსაც სურთ მაღალხარისხოვანი ეტიკეტების დამზადება, დარეკეთ საკონტაქტო ტელეფონებზე: 95-36-87, 95-49-25.

◆



საქართველოს ჩემპიონატი ფრენბურთში ქალთა გუნდებს შორის. ასპარეზობის ანგარიშს გთავაზობთ ჩვენი გაზეთის მეოთხე გვერდზე.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

უკრაინის პარლამენტის მიმართვა სოკ-ს

უკრაინის პარლამენტმა თხოვნით მიმართა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, აღიაროს უკრაინის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და დაუშვას რესპუბლიკის სპორტსმენთა დელეგაცია ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად.

პარლამენტის მიმართვაში ნათქვამია, რომ უკრაინა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, უკვე აღიარა 15-მა ქვეყანამ. რესპუბლიკაში წარმატებით ვითარდება სპორტის ყველა ოლიმპიური სახეობა, ფართოვდება მასობრივი სპორტული მოძრაობა. დაწყებული 1952 წლიდან, უკრაინის სპორტსმენები მონაწილეობდნენ ყველა ოლიმპიურ თამაშებში, სადაც მოიპოვეს 400-ზე მეტი ჯილდო, მათგან 177 ოქროს მედალი.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თანხმობა, ნათქვამია მიმართვაში, ხელს შეუწყობს უკრაინის სპორტსმენებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში, სათანადო პროპაგანდა გაუწიონ მის ჰუმანურ იდეალებს.

მინიფეხბურთში საქართველოს პირველმა ეროვნულმა ჩემპიონატმა გაზრდილი ინტერესი გამოიწვია და ორგანიზაციული საკითხების პასუხისმგებლობის მოგვარების წყალობით, სულაც არ იგრძნობა ის ლაფსუსები, რაც ხშირად იჩენს ხოლმე თავს სიახლის დანერგვისას.

გაგაცნობთ რამდენიმე მატჩის შედეგს: „ნაგუთი“ (ქიათურა) — „ბახვი“ 3:0; „რიო“ (თბილისი) — „არეში“ (რუსთავი) 3:0; „შრომა“ — „რუსთავი“ 0:4; „ნარინჯი“ (ნატანები) — „რიო“ 2:4; „ნაგუთი“ — „ვაკე“ (თბილისი) 2:2, „ვაკე“ — „ბერმუხა“ (თბილისი) 4:6; „ცინა“ (თბილისი) — „თოლია“ (ფოთი) 3:2; „ნაგუთი“ — „ოჩამჩირე“ 4:3.

ჩემპიონატი გრძელდება.

სურათზე: „რუსთავისა“ და „შრომის“ ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრის ერთი ეპიზოდი.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

რა ხდება ქვეყანაზე

● **კალათბურთის** 100 წლის თავს ევროპაში 27 დეკემბერს აღნიშნავენ. ამ დღეს „ბერსის“ უნივერსალური სპორტდარბაზი (პარიზში) უმასპინძლებს საფრანგეთისა და ევროპის ნაკრებების ამხანაგურ შეხვედრას. ევროპელთა მწვრთნელმა ალესანდრო გამბამ (იტალია) დაასახელა თავისი გუნდის შემადგენლობა: რობერტო ბრუნამონტი (იტალია), ველიმირ პერასოვიჩი, ტონი კუკოჩი, იურე ზდოვცი, დინო რაჯა (ყველა — იუგოსლავია), პანაიოტის იანიკისი, პანაიოტის ფასულასი (ორივე — საბერძნეთი), რიკ სამეი (ბელგია), უვე ბლააბი (გერმანია), ხოსე ბირიუკოვი, ანტონიო მარტინი, ხორდი ვილიაკამპა (ყველა — ესპანეთი), არვიდას საბონისი (ლიტვა) და სხვანი.

● **სან-პაულუს** საერთაშორისო ტურნირში გამარჯვების შემდეგ გერმანელი ჩოგბურთელი საბინე ჰაკი პირველ ადგილზე გავიდა მომავალი წლის რეიტინგში. ამ წარმატებისთვის მან 110 ქულა მიიღო.

● **ავსტრიის** სატელეგრაფო სააგენტოს არას ცნობით, ქალაქ პაჰლის რაიონში ავტოკატასტროფის შედეგად დაიღუპა სამთოსათხილამურო სპორტში ქვეყნის ქალთა ეროვნული ნაკრების მწვრთნელი, 49 წლის ალოის კარი.

● **არგენტინის** სპორტულ ჟურნალისტთა ცენტრმა საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი „ოქროს ბურთი“ მიაკუთვნა „ბოკა ხუნიორსის“ მეკარეს კარლოს ნავარო მონტოიესს.

● **იტალიის** კლუბი „კნორი“ დაინტერესდა ლიტველი კალათბურთელით არვიდას საბონისით, რომელიც ამჟამად ესპანეთში თამაშობს (ვალიადოლიდის „ფორუმში“). ესპანელი ჟურნალისტების აზრით, იტალიელები მზად არიან, გადაიხადონ 80 მილიონი პესეტი, რაც დაახლოებით 700 ათას დოლარს უდრის.

● **უცხოეთის** პრესის ცნობით, ყოფილი საბჭოთა კავშირიდან საზღვარგარეთ სამუშაოდ მიდიან ტანვარჯიშის ცნობილი სპეციალისტები, აშშ-ში მიწვეულნი არიან, მაგალითად, ოლგა კორბუტი, ნატალია შაპოშნიკოვა, ვლადიმერ გოგოლაძე, ვლადიმერ არტიომოვი და ვლადიმერ ნოვიკოვი...

● **1994 წლის** კეთილი ნების თამაშების მოწყობაზე პასუხისმგებელ (ამერიკელთა მხრიდან) ჯეკ კელის განცხადებით, ყოფილ სსრ კავშირში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია ხელს არ შეუშლის ამ შეჯიბრების ჩატარებას. იგი გაიმართება დანიშნულ დროს სანქტ-პეტერბურგში.

● **ლოს-ანჯელესის** მომავალი მარათონის (ჩატარდება 1 მარტს) ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ მსოფლიო რეკორდის დამყარებისთვის სპორტსმენი საჩუქრად მიიღებს 250 ათას დოლარს, ტრასის რეკორდისთვის კი მხოლოდ 10 ათასს, გამარჯვებულს გადაეცემა 35 ათასი დოლარი, უახლესი მარკის ავტომანქანა „მერსედესი“ და ოქროს საათი.

● **ცნობილი** ამერიკელი მძლეოსანი, ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი 400 მეტრზე თარჯრბენში ედვინ მოზესი დარწმუნებულია, რომ უსათუოდ მოხვდება აშშ-ის ბობსლეისტთა ნაკრებში და მონაწილეობას მიიღებს ალბერვილის თამაშებში.

● „**არ არის** გამორიცხული, რომ 1992 წელს გაიმართოს „დიდი მუზარადის“ თასის გათამაშება ქალთა შორის“. ასეთი განცხადება გააკეთა ჟურნალისტებთან საუბარში ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ბრაიან ტობინმა.

● **ბელგიის** საუკეთესო სპორტსმენად 1991 წლის შედეგების მიხედვით დასახელებულია 22 წლის მაგიდის ჩოგბურთელი ჟან-მიშელ სეივი. წლეულს სეივმა რამდენიმე საერთაშორისო ტურნირი მოიგო და გუნდთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

ჟამი შეკრისა, ჟამი განსჯისა

შეჯიბრებები, დიდი შეჯიბრებები გვჭირდება ანუ საერთო ძალისხმევაა გამოსავალი

— სიმართლე გითხრათ, სპორტულ თამაშებზე დიდ იმედებს ვამყარებდით, ვფიქრობდით, რომ, სიახლე გამოაღვიძებდა რეგიონებში მიძინებულ „სპორტის დედოფალს". ვარაუდი მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა. მძლეოსნობა ისეთი სახეობაა, სადაც ტალანტებს ხელის ერთი დაკვრით ვერ აღმოაჩენ, ხანგრძლივი, რუდუნებით მუშაობაა საჭირო მოზარდებთან. — ასე დაიწყო საუბარი სპორტის ამ სახეობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გივი ჩადუნელმა, როცა ვთხოვეთ გაეზიარებინა შთაბეჭდილება რესპუბლიკის პირველ სპორტულ თამაშებზე მძლეოსანთა გამოსვლის თაობაზე.

— მაინცდამაინც დიდ „მოსავალს" რომ ვერ „მოვიმკიდით", ფინალამდე დავრწმუნდით — რეგიონალურ შეჯიბრებებზე უმეტესად აშკარად მოუმზადებელი მორბენლები, მხტომელები, მტყორცნელები გამოჰყავდათ, რიგ სახეობაში კი, საერთოდ არ გამოვლენილან პრიზიორები.

● **უმჯობესია, ფაქტები მოვიშველიოთ.**

— ფინალური ტურნირის შედეგები ადგილებზე გაწეული მუშაობის სარკე გახლდათ. გადამწყვეტ შეჯიბრებებში ათი რეგიონის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. სომხეთის სპორტსმენებიც მოვიწვიეთ, ღონისძიება რომ უფრო საინტერესო ყოფილიყო. თბილისში გაზრდილმა და დაოსტატებულმა ზაურ სარქისიანმა, რომელიც ახლა სომხეთში მუშაობს, ხუთი ათლეტი ჩამოიყვანა და იცით როგორ იასპარეზეს? — 7 საპრიზო ადგილი „წაართვეს" მასპინძლებს. მათგან ორი ოპანეს აბრამიანი და პარკევ გრიგორიანი — ჩვენი თამაშების ჩემპიონები გახდნენ, ერთი — სპრინტში, მეორე — სამხტომში.

● **ამ სატკივარზე რას იტყვით თამაშებმა რომ წარმოაჩინა? ეს გვაინტერესებს!**

— მაგალითი შემთხვევით არ მომიყვანია. თუ ხუთმა სომეხმა მძლეოსანმა შვიდი ჯილდო წაიღო, სხვა რესპუბლიკებიდანაც რომ ჩამოსულიყვნენ (აზერბაიჯანელები და მოლდოველებიც მოვიწვიეთ), მასპინძლები ალბათ პრიზების ნახევარსაც ვერ მიიღებდნენ. მაშასადამე, საერთო ჯამში საქართველოს სპორტსმენების მაჩვენებლები სასურველზე დაბალი იყო.

მეორე მაგალითი. შეჯიბრებები მძლეოსნობის ყველა სახეობაში არ გამართულა (მაგალითად, ჭოკით ხტომაში), რიგ სახეობებში კი 1–3 მძლეოსანი შეგროვდა სარბიელზე (ქალების 400 და 1500 მ. რბენა, 400 მ. თარჯრბენი, შუბის ტყორცნა, სიგრძეზე ხტომა, ვაჟების სიმაღლეზე ხტომა). სიმაღლეზე ხტომაში თბილისელები: ჩემპიონი ზაბროსკოვი და ივანოვი 2 მეტრის გადალახვით დაკმაყოფილდნენ — რომ არაფერი ვთქვათ მსოფლიო რეკორდზე, საქართველოს რეკორდიც კი ოცდაორი სანტიმეტრით უკეთესია. რაკი რეკორდი ვახსენეთ, ბარემ ვიტყვი, რომ ოთხდღიან ტურნირში ერთი რესპუბლიკური მიღწევაც არ გაუმჯობესებულა.

მესამე მაგალითი. როცა ფინალში რეგიონების წარმომადგენელთა მაჩვენებლები შევაჯამდა, გაირკვა, რომ შიდა ქართლიდან, აფხაზეთიდან, სამცხე-ჯავახეთიდან თითო მონაწილემ მიიღო ჩათვლა. აშკარად ცუდად იასპარეზეს სამეგრელოს, აჭარის სპორტსმენებმა. ადრე მუდამ წუხდნენ იმაზე, რომ სხვა ქალაქები, რაიონები კონკურენციას ვერ უწევდნენ დედაქალაქის მძლეოსნებს. თამაშების ორგანიზატორებმა, ალბათ, ეს გაითვალისწინეს როცა რეგიონებს გაუხსნეს გზა, მაგრამ... მეორე, მესამე და მეოთხე ადგილებზე გასულ კახეთის, იმერეთის, ქვემო ქართლის სპორტსმენთა საერთო მონაგარიც კი — 19997 ქულა — 942 ქულით ჩამორჩება თბილისელთა „ნადავლს". ერთი სიტყვით, ყველგან, თბილისშიც კი, საგრძნობლად დაქვეითდა რესპუბლიკის ნაკრების წევრთა შედეგები. თუ ძველი „არშინით" გავზომავთ, თამაშებზე ნაჩვენები 5 ოსტატისა და 20 ოსტატობის კანდიდატის დონის შედეგი ვერაფერი „მოსავალია". პოზიციები დათმეს ოზურგეთში, აჭარაში, აფხაზეთში, ქუთაისში... მწვრთნელები საკმაო უკუგებით არ მუშაობენ; დაბალი ანაზღაურების გამო ბევრი სპეციალისტი საერთოდ ჩამოშორდა ამ სახეობას.

● **იქნებ ეს რესპუბლიკაში შექმნილი საერთო მდგომარეობის ბრალია?**

— მარტო მაგას ვერ დავაბრალებთ. დანარჩენი სპეციალისტებიც ერთგვარმა ინერტულობამ მოიცვა. ახლა ისინი ხშირად უჩივიან უხეირო ბაზებს, ინვენტარის უკმარობას, მოზარდთა შორის ინტერესის განელებას... მაგრამ საქართველოში უმაღლესი ხარისხის მძლეოსნური ბაზები არასოდეს გვქონია, თითოოროლა საერთაშორისო დონის მძლეოსანი კი მაინც გვყავდა.

● **ფედერაცია რაში ხედავს გამოსავალს?**

— საერთო ძალისხმევაა საჭირო. სხვანაირად ვერ შევქმნით მძლეოსანთა ისეთ ნაკრებს, რომელსაც დიდ ტურნირებში გუნდური წარმატებისთვის ბრძოლა შეეძლება. რესპუბლიკას 5-6 ისეთი მძლეოსანი რომ ჰყავდეს ნინო დუმბაძის, ნადია დვალიშვილ-ხნიკინას, რობერტ შავლაყაძის, ვიქტორ სანეევის, მაია აზარაშვილის ტრადიციების გაგრძელება რომ შეეძლებათ და საერთაშორისო შეჯიბრებებში პრიზიორთა შორის იქნებიან, ვფიქრობთ, დიდ მიღწევად ჩაითვლება. ამიერიდან ფედერაციის მთელი საქმიანობა ძირითადად სწორედ აქეთ, ამ ამოცანის გადაწყვეტისკენ იქნება მიმართული, და კიდევ იქითკენ, რომ პერიფერიებში გაძლიერდეს ნიჭიერ ათლეტთა „საძიებო სამუშაოები", რაც, თავის მხრივ, მასობრიობასაც გულისხმობს. ამ საქმეში კი უთუოდ დიდი როლი აკისრიათ განათლების სისტემის სპორტსკოლებსა და იქ მომუშავე მწვრთნელ-აღმზრდელებს. განზრახული გვაქვს ჩვენი საქმიანობის დიდი ნაწილი რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მოსწავლეთა ფიზაღზრდის, სპორტის და სამხედრო მომზადების სამმართველოსთან ერთად დავუთმოთ ადგილებზე მუშაობის ნორმალურად წარმართვასა და კონტროლს.

● **ამ საზრუნავისგან სპორტსაზოგადოებები თავისუფლდებიან?**

— სულაც არა. „შევარდენი" რამდენიმე პროფკავშირული სპორტსაზოგადოების ნაერთია და, ცხადია, ახლა საქმიანობის გაძღოლა მას დაეკისრა. ის სპორტსაზოგადოებები — „სპარტაკი", „ლოკომოტივი", „განთიადი", „კოლმეურნე"... თავის დროზე საგრძნობ შევსებას აძლევდნენ ჩვენს მძლეოსნობას — აქედან მოვიდნენ ნაკრებში ედუარდ ლომთაძე, რეზო ქორჩაკიძე, გურამ გუდაშვილი, კარლო გორძამაშვილი... ყველას რა ჩამოთვლის.

ფედერაცია სულაც არაა ის ორგანიზაცია, რომელიც მხოლოდ სპორტსმენთა გამოვლენა-აღზრდისთვის უნდა ზრუნავდეს. არა! ჩვენი ამოცანა საერთო ხელმძღვანელობაა. ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ უახლოეს 2-3 წელიწადში 5-6 მაღალი კლასის სპორტსმენი მაინც გვყავდეს. მეოხეთა დახმარებით შევეცდებით დიდ ტურნირებში ასპარეზობის ყველა პირობა შევუქმნათ მათ. ვეძებთ კავშირებს ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან, სხვა ქვეყნებთან — შეჯიბრებები, დიდი შეჯიბრებები გვჭირდება...

ესაუბრა **ოთარ გელაშვილი.**

მხოლოდ გამარჯვებულები

სპორტული ცეკვები. საქართველოს სამეჯლისო (სპორტული) ცეკვების ასოციაციის რესპუბლიკური კონკურსი.

ბორჯომი. 12 წლამდე ასაკში — სერგეი ტუდინოვი — ნინო კაზალიკაშვილი (ავარჯიშებენ ლარისა ქურდაძე და თენგიზ გაჩეჩილაძე). **14 წლამდე ასაკში** — გიორგი ტაბატაძე — ნინო ბეციაშვილი (ქურდაძე, გაჩეჩილაძე). **16 წლამდე ასაკში** — გენადი გერასიმიუკი — ოლგა გონჩაროვა (ავარჯიშებენ ზ. მარგიშვილი და ა. ვართანიანი). **18 წლამდე ასაკში** — იგორ პეტროვი — ეკა შენგელია (ქურდაძე, გაჩეჩილაძე). **18 წლის ზევით.** ამ ასაკში გათამაშდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრიზი, რომელიც წილად ხვდა გოჩა ჩერტკოევს და შორენა გაჩეჩილაძის წყვილს (ქურდაძე, გაჩეჩილაძე).

* * *

იბრაგიმ სარჯველაძის ანგარიშზე

იბრაგიმ სარჯველაძის ანგარიშზე სპორტული ლატარიების ფირმა „ინტერსპორტლოტოს" კოლექტივმა გულთან ახლოს მიიტანა წარსულში ცნობილი ფეხბურთელის, ამჟამად I ჯგუფის ინვალიდის იბრაგიმ სარჯველაძის გასაჭირი და ვაკის რაიონის ბინსოცბანკში მის სახელზე გახსნილ ანგარიშზე გადაირიცხა ათასი მანეთი.

ფირმა „ინტერსპორტლოტო"

იღბალი? არა — მაინც ოსტატობა

ნარდის შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ერთნი ამტკიცებენ, რომ გამარჯვება მეტწილად იღბალზეა დამოკიდებული.

რუსთავის ღია ჩემპიონატმა მოკლე ნარდში, რომელიც ამ დღეებში ჩატარდა, გარკვეულწილად უარყო ეს წარმოდგენა. ჩემპიონატში, სადაც 50 სპორტსმენი მონაწილეობდა, გაიმარჯვა 1991 წლის საქართველოს თასის მფლობელმა თბილისელმა ნუგზარ მელიქიძემ. მასვე გადაეცა ჩემპიონისთვის განკუთვნილი ჯილდო — უცხოური ტელევიზორი. მეორე ადგილზე თბილისელი კახა ალთუნაშვილი გავიდა. იგი ვიდეომაგნიტოფონით დაჯილდოვდა. მესამე იყო რუსთაველი ზურაბ ციცვიძე, მეოთხე — თბილისელი დავით არჩვაძე.

ძირითად ტურნირთან ერთად ჩატარდა „სანუგეშო" და „ბოლო შანსის" ტურნირები.

„სანუგეშო ტურნირში" ტყიბულელმა გოჩა ჰოხონელიძემ, „ბოლო შანსში" კი გორელმა ბექან უმეკაშვილმა გაიმარჯვეს.



ამავე ჩემპიონატზე, პირველად საქართველოში, გაიმართა ტურნირი — „ჯაკპოტი", აქ საპრიზო ფონდი ყალიბდება უშუალოდ სპორტსმენთა ნებასურვილის გათვალისწინებით. ტურნირმა 16 მონაწილე შეკრიბა. „ჯაკპოტში" გაიმარჯვა და მეორე ვიდეომაგნიტოფონს დაეუფლა ძირითადი ტურნირის ვერცხლის პრიზიორი კახა ალთუნაშვილი.

საქართველოს ნარდის ეროვნული ფედერაციის მადლობა დაიმსახურა ფედერაციის რუსთავის განყოფილებამ და მისმა პრეზიდენტმა რობერტ შენგელიამ ჩემპიონატის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის

დავით კალანდაძე

სურათზე: ნუგზარ მელიქიძე.

საქართველოს ჩემპიონატი ფრენბურთში ● ქალები

ფავორიტი სამეულს მიღმა

საქართველოს ფრენბურთელ ქალთა შეჯიბრებების ისტორიას მსგავსი შემთხვევა არ ახსოვს: ახლახან დამთავრებულ რესპუბლიკურ ჩემპიონატზე ბოლო ტურის წინ ოქროს მედლების მოპოვების შანსს ერთბაშად ოთხი კოლექტივი ინარჩუნებდა.

ფავორიტად აგრარული უნივერსიტეტის გუნდი მიაჩნდათ. ამ სასწავლებლის ფრენბურთელებმა ხომ ამას წინათ თბილისის პირველობაზე სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფიზკულტურის ინსტიტუტის, ოლიმპიური რეზერვის სკოლის კოლექტივები დაამარცხეს და უძლიერესის წოდება მოიპოვეს. მათ ამჯერად ქვეჯგუფში ფიზკულტურის ინსტიტუტის, ქუთაისისა და სამტრედიის გუნდებს მოუგეს და ფინალურ ოთხეულში „ოქროს ქულით" შევიდნენ. მეორე ქვეჯგუფში ანალოგიურ წარმატებას მიაღწიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტსმენებმა. მათაც სამ მეტოქეს (თბილისის „შევარდენს", ოლიმპიური რეზერვის სკოლისა და გორის კოლექტივებს) დააყრევინეს ფარხმალი. ფინალური ასპარეზობის ბოლოსწინა ტურში ოლიმპიური რეზერვის სკოლის გოგოებმა, მოულოდნელად, აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტებს მოუგეს — 3:1. ასეთივე ანგარიშით იწვნია მარცხი სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა ფიზკულტურის ინსტიტუტის ფრენბურთელებთან შეხვედრაში. ოთხივე კოლექტივს ქულათა თანაბარი რაოდენობა დაუგროვდა. ბოლო შეხვედრაში საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენებმა (ნ. გიორგაძე, ნ. მეტრეველი, ი. ჩებანი, ნ. ფურმანიძე, ლ. ტარანი, ო. პროკოპეცი, ე. მიხაილოვსკაია, მწვრთნელი — დ. ზაბულიანი) ოლიმპიური რეზერვის სკოლის გუნდს მოუგეს ანგარიშით 3:0 და ჩემპიონობა მოიპოვეს. მართალია, სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრენბურთელებმაც დაამარცხეს აგრარული უნივერსიტეტის გუნდი (3:2) და მათაც ორი ქულა მოაგროვეს, მაგრამ ფიზკულტურის ინსტიტუტელებთან შეხვედრაში უარყოფითი ბალანსის გამო მეორე ადგილს დასჯერდნენ. მესამეზე — ოლიმპიური რეზერვის სკოლის გოგოები გავიდნენ. თბილისის ჩემპიონი საპრიზო სამეულს მიღმა დარჩა. მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: თბილისის „შევარდენი", ქუთაისის, გორისა და სამტრედიის გუნდები. მოულოდნელი იყო ქუთაისელთა წარუმატებელი გამოსვლაც — რესპუბლიკის პირველ სპორტულ თამაშებში ამ კოლექტივმა მეორე ადგილი დაიკავა, ამჯერად კი მხოლოდ მეექვსე ადგილით დაკმაყოფილდა. მიზეზის ახსნა მის მთავარ მწვრთნელს მარინე ჰაბუკიანს ვთხოვეთ:

— ჩემპიონატზე შესუსტებული შემადგენლობით გამოვედით — ძირითადი ექვსეულის ოთხმა მოთამაშემ სხვადასხვა მიზეზების გამო ჩამოსვლა ვერ შეძლო. ამიტომაც მათ ნაცვლად ახალბედები წამოვიყვანეთ, რომლებსაც ამგვარ ტურნირში თამაშის გამოცდილება აკლდათ, წარუმატებლობის მიზეზი ისიცაა, რომ ჩვენს ქალაქში ქალთა ფრენბურთი არასახარბიელო მდგომარეობაშია. მწვრთნელებიდან მარტო მე შემორჩი. ბავშვებთან მუშაობა არავის სურს. ვმეცადინეობთ სპორტსკოლის დარბაზში ხუთიდან შვიდ საათამდე. ამ დროს უკვე ღამეა, ტრანსპორტი ცუდად მუშაობს, ამიტომ მშობლების უმრავლესობა საღამოობით გოგოებს სახლიდან არ უშვებს. ფაქტობრივად, კვირაში ერთ დღეს ვვარჯიშობთ, შაბათობით, სამიდან ხუთ საათამდე. მართალია, ქალაქის სპორტკომიტეტი შეძლებისდაგვარად გვეხმარება — გვაძლევს ფორმებს, სპორტულ ინვენტარს, პირველი სპორტული თამაშების წინ საწვრთნელი შეკრებაც მოგვიწყო, მაგრამ ყოველივე ეს საქმეს ვერ შველის, უსახსრობის გამო კლუბსაც ვერ ვაყალიბებთ, თუ ასე გაგრძელდა, მალე, ალბათ, ქუთაისი ქალთა ფრენბურთს ჩამოშორდება...

ნუთუ ქუთაისში არ მოიძებნება ერთი შეძლებული ორგანიზაცია, რომელიც გულთან ახლოს მიიტანს ფრენბურთელ ქალთა სატკივარს, სპონსორობას გაუწევს და ფეხზე დააყენებს მას, რომ მომავალი ასპარეზობები რიონისპირელთა გარეშე არ ჩატარდეს. განა ის არ კმარა, რომ წლევანდელ შეჯიბრებაში დიდი სპორტული ტრადიციების მქონე რეგიონების — აჭარისა და აფხაზეთის წარმომადგენლები არ მონაწილეობდნენ.

ვაჟა დანელია

იქნებ არ ღირდა ჩატარება?!

არმიის სპორტული კლუბის დარბაზის სარბიელზე ერთიმეორის მიყოლებით გამოდიან თვალხატულა გოგოები: მეიშვილი, ქილიაევა, ივანოვა, ულერშპერგერი, ტატიშვილი, წიკლაური... სულ 24 მხატვრული ტანმოვარჯიშე ჩაება მრავალჭიდში საქართველოს თასის გათამაშებასა და რესპუბლიკურ პირველობაში ცალკეული საგნებით ვარჯიშში. შეჯიბრებისთვის ყველაზე უკეთ მომზადებული აღმოჩნდა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველკურსელი, ნელი სალაძისა და გულიკო ჯაფაროვას აღზრდილი ბელა ქილიაევა. მან 37,2 ქულა მოაგროვა და პირველად დაეუფლა საქართველოს თასს. მეორე-მესამე ადგილებზეც სალაძის მოწაფეები — ეკა მეიშვილი და ლანა სიდანოვა გავიდნენ. ცალკეული საგნებით ვარჯიშშიც ქილიაევამ ისახელა თავი — მან ოთხივე სახეობაში პირველი ადგილი დაიკავა.

დაძაბულად წარიმართა ოსტატობის კანდიდატთა ასპარეზობა. აქ 12 მონაწილეს შორის საუკეთესო იყო ახალგაზრდა მწვრთნელის, მსოფლიო ჩემპიონის ირინე გაბაშვილის შეგირდი, თბილისის მე-80 საშუალო სკოლის მეექვსეკლასელი ეკატერინა პეკინა.

შეჯიბრება ჩატარდა გაყინულ დარბაზში. მიზეზი გასაგებია, მაგრამ ტანმოვარჯიშეებს სხვა გასაჭირიც ჰქონდათ: ვარჯიშების შესრულებისას ისინი ჭერ... ჭერს შეათვალიერებდნენ და ისე ისროდნენ ჰაერში საგნებს, რათა დაბალჭერიანი დარბაზის სახურავის რკინის ხარიხებისთვის აეცილებინათ...

ამგვარ პირობებში ღირდა კი საერთოდ ასპარეზობის ჩატარება?!

ტექნიკური შედეგები

მრავალჭიდი. 1. ბ. ქილიაევა — 37,2; 2. ე. მეიშვილი — 36,95; 3. ლ. სიდანოვა (სამივე — თბილისი) — 36,3. **სახტუნაო.** 1. ქილიაევა — 9,5; 2. მეიშვილი — 9,4; 3. სიდანოვა — 9,3. **რგოლი.** 1. ქილიაევა — 9,65; 2. მეიშვილი — 9,5; 3. ნ. ტატიშვილი (თბილისი) — 9,25. **ბურთი.** 1. ქილიაევა — 9,6; 2. სიდანოვა — 9,25; 3. ა. ივანოვა (ბათუმი) — 9,15. **გურზები.** 1. ქილიაევა — 9,6; 2. ნ. წიკლაური (თბილისი)—9,3; 3. ა. ივანოვა — 9,25.

ოსტატობის კანდიდატის პროგრამით: 1. ე. პეკინა — 35,25; 2. მ. ჭალალიძე — 34,75; 3. თ. რეხვიაშვილი (სამივე — თბილისი) — 34,4.

ვაჟა ნოსირელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩირაღდანი გზად ალბერვილისაკენ!..

ყოველი დღე სულ უფრო აახლოებს ალბერვილის თეთრ ოლიმპიადას. ბევრი სპორტსმენი უკვე სიზმარში ხედავს მედალს, რომელიც განსაკუთრებულია თუნდაც იმით, რომ იგი წინა თამაშების მედლების მსგავსად ლითონისგან კი არა, ბროლისგანაა დამზადებული. მათ შორის მხოლოდ ის სხვაობაა, რომ ჩემპიონები მიიღებენ ოქროთი მოვარაყებულს, მეორე ადგილებზე გასულნი — ვერცხლის, ხოლო მესამე პრიზიორები კი ბრინჯაოს ვარაყიანი მედლებით დაჯილდოვდებიან.

საფრანგეთის სამთო კურორტ ალბერვილის ოლიმპიადისთვის მზადება ყველგან წინა თამაშების დამთავრებისთანავე დაიწყეს და ახლა მსოფლიო თასების წლევანდელი გათამაშებით ამთავრებენ, თუმცა, თვით ოლიმპიადა ყველა სახეობაში ამ თასების ერთ-ერთი ეტაპიც იქნება.

სამწუხაროდ, მომავალი თამაშები საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობის გარეშე ჩაივლის, მაგრამ ინტერესმოკლებული მაინც არ უნდა იყოს სად, ვინ, როგორ ემზადება, ვინ დააწინაურა თასების გათამაშების განვლილმა ეტაპებმა, ალბერვილში ვინ იქნება ფავორიტთა შორის.

ალბერტო ალბერვილს უმიზნებს

სამთომოთხილამურეებმა უკან მოიტოვეს რამდენიმე ეტაპი. ვაჟთა შორის ახლა ორი გამოკვეთილი ფავორიტია: საქვეყნოდ ცნობილი იტალიელი ალბერტო ტომბა და შვეიცარიელი პოლ აკოლა. იტალიელს ბადალი არ ჰყავდა თასის გათამაშების პირველ ეტაპზე: პარკ-სიტიში (სლალომში) იგი შეუდარებელი იყო ორივე ცდაზე. აკოლა ორივეჯერ მეორე ადგილებს დასჯერდა. სამაგიეროდ, შვეიცარიელმა მეორე ეტაპზე აიღო რევანში — ბრეკენრიჯის ტრასაზე ორი ცდის ჯამში აჯობა ტომბას, თუმცა მეორე ცდა იტალიელის გამარჯვებით დასრულდა. ეს ორეული ასე ენაცვლებოდა ერთმანეთს გიგანტურ სლალომშიც, ამიტომაც ორი ეტაპის მერე აქაც ერთნაირი მაჩვენებელი (180 ქულა) აღმოაჩნდათ თითოეულს და 360-360 ქულა — საერთო ჩათვლაში. ისინი მესამე ადგილზე მყოფ ნორვეგიელ ოლე-კრისტიან ფურუსეტს 218 ქულით უსწრებდნენ, მანამ, სანამ სესტრიერის ტრასაზე სლალომში მომდევნო ეტაპი არ გაიმართა. აქ წინა ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონი ტომბა უძლიერესი იყო პირველ დაშვებაში, მესამე — მეორე ცდაზე და ახლა ერთპიროვნული ლიდერი, იგი 60 ქულით ასწრებს აკოლას.

იგლსის ყინულის ღარში

ბობსლეისტებმა მომდევნო მესამე ეტაპი იგლსის ტრასაზე გამართეს. ოთხადგილიანებით. გერმანელებმა (პილოტი ვოლფგანგ ხოპე) სულ რაღაც 8 მეასედი წამით ჩამოიტოვეს შვეიცარიელები (გუსტავ ვედერი). ლატვიელები (ძინტას ეკმანისი), რომლებიც პირველად გამოვლენ ოლიმპიადაზე თავისი რესპუბლიკის სახელით, მეოთხენი იყვნენ ავსტრიელთა შემდეგ.

ოლიმპიური ცეცხლი აინთო

ალბერვილის თამაშებამდე ხუთი ათეული დღე დარჩა. როგორც ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთმა პრეზიდენტმა, წარსულში ცნობილმა სამთომოთხილამურემ ჟან-კლოდ კილიმ განაცხადა, ახლა აქ ყველაფერი მზადაა.

13 თებერვალს საბერძნეთში, პერას მთაზე, ტრადიციისამებრ, სარკის დახმარებით აანთეს ჩირაღდანი, რომელიც მეშახტის ფანარში მოათავსეს და ათენის აეროპორტიდან ლაინერ „კონკორდით" პარიზს „გაამგზავრეს". საფრანგეთის დედაქალაქში ჩირაღდანს დახვდნენ პრემიერ-მინისტრი ე. კრესონი, პარიზის მერი ჟ. შირაკი, ათიათასობით ფრანგი, რომლებიც ოლიმპიური ცეცხლის პარიზში ჩამოსვლის ზეიმში მონაწილეობდნენ. პარიზიდან ალბერვილამდე 550 კილომეტრზე მეტია. 15 დეკემბერს ჩირაღდანი ესტაფეტით წაიღეს ალბერვილისაკენ, სადაც 8 თებერვალს, თამაშების გახსნის დღეს, მთავარ სასპარეზოზე ოლიმპიადის გახსნის ნიშნად აავიზგიზებენ.

● ● ●

იაპონიის ეროვნული ჭიდაობა სუმო, როგორც იქნა, გასცდა ამომავალი მზის ქვეყნის ფარგლებს. ამ ცოტა ხნის წინ, მოეწყო მისი პრეზენტაცია ბრიტანეთის კუნძულებზე, თავდაპირველად ლონდონში, და სპორტის სპეციალისტთა საკმაოდ დიდი აუდიტორიის მოწონება დაიმსახურა.

ამ ფოტოსურათს სარეკლამო მნიშვნელობა აქვს. სარბიელზე არიან სუმოს „ვარსკვლავი" კონიშიკი და მისი ინგლისელი პარტნიორი ალექსანდრ ვოლფერსი.

● ● ●



უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ა. ცვეიბა საუკეთესოა

ყოველკვირეულმა „ფუტბოლნაია უკრაინამ" მოაწყო რეფერენდუმი უკრაინის 1991 წლის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 120-მა სპეციალისტმა, პირველი ადგილისთვის ფეხბურთელს ეწერებოდა 3 ქულა, მეორისთვის — 2, მესამისთვის — 1.

რეფერენდუმში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა კიევის „დინამოსა" და საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრმა, წარსულში სოხუმისა და თბილისის „დინამოს" ფეხბურთელმა ახრიკ ცვეიბამ, რომელმაც ჯამში 241 ქულა მოაგროვა.

მეორე ადგილზეა სერგეი იურანი (148 ქულა), მესამეზე — ოლეგ სალენკო (99 ქულა).

„ჩვენ ვითამაშებთ — შვეციაში"

ბელგრადი. იუგოსლავიის ნაკრები მონაწილეობას მიიღებს ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში იმ შემთხვევაშიც კი, თუ იუგოსლავია აღარ იარსებებს როგორც ერთიანი სახელმწიფო. — განუცხადა იუგოსლავიის სატელეგრაფო სააგენტოს კორესპონდენტს ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელმა ბრანკო ბულატოვიჩმა.

მან ახსნა-განმარტება მოსთხოვა ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირს, რომელმაც ამას წინათ იტალია და დანია გამოაცხადა ფინალური ტურნირის პრეტენდენტებად იმ შემთხვევაში, თუ იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის გუნდები შინაური პოლიტიკური ვითარების გამო არ ჩამოვლენ შვეციაში. — იუგოსლავია უწინდებურად უეფა-ს წევრია და უფლება არავის აქვს გამორიცხოს იგი შეჯიბრებიდან — განაცხადა ბ. ბულატოვიჩმა.

მოვიცადოთ იანვრამდე

ჟენევა. 19 დეკემბერი. „სსრ კავშირის ნაკრების მონაწილეობის საკითხი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ თამაშებში კონკრეტულად გადაწყდება გათამაშების საორგანიზაციო კომიტეტის საგანგებო სხდომაზე, რომელიც გეტებორგში გაიმართება 1992 წლის 16 იანვარს". ასეთი ინფორმაცია მიაწოდა საქდესის კორესპონდენტს ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის პრეს-სამსახურის ხელმძღვანელმა რუდოლფ როტენბიულერმა.

საკითხი ესოდენ მწვავედ ისმება იმის გამო, რომ მალე საბჭოთა კავშირი აღარ იარსებებს როგორც ერთიანი სახელმწიფო, მაგრამ, როგორც აღნიშნა რ. როტენბიულერმა, უეფას წევრია სწორედ სსრ კავშირი და არა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, რომელმაც, იდეის მიხედვით, უნდა შეცვალოს სსრ კავშირი. პრობლემას ისიც ართულებს, რომ ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციები დაჟინებით მოითხოვენ დამოუკიდებლობას და ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის სრულუფლებიან წევრობას.

ამავე დროს, განაგრძო რ. როტენბიულერმა, უეფას შტაბ-ბინაში უკვე მოვიდა ინფორმაცია მოსკოვიდან, სადაც იტყობინებიან, რომ საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაცია მოელაპარაკა რესპუბლიკურ ფედერაციებს მათი მოთამაშეების გამოსვლაზე საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში ევროპის მომავალ ჩემპიონატში.

სწორედ ამ რთულ ნიუანსებზე დეტალურად იმსჯელებენ უეფას ხელმძღვანელები გეტებორგში 1992 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წილისყრის წინ. თუ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრები მონაწილეობას ვერ მიიღებს ამ ტურნირში, მის ადგილს დაიკავებს შესარჩევ ჯგუფში მეორე ადგილზე გასული გუნდი. მოსალოდნელია, რომ ეს იქნება იტალიის ნაკრები.

წესი თუ გამონაკლისი

ადრე რუსულ პრესაში დაიბეჭდა ინფორმაცია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის შემთხვევაშიც კი ჩვენი გუნდები ვერ მიიღებენ მონაწილეობას ევროპის პირველობაზე, რამდენადაც საქართველო ევროპა არ არის.

უეფას პრეზიდენტის განცხადების არაკანონიერების არგუმენტებად, ადრე „ლელოში" გამოქვეყნებულთა გარდა, შეიძლება აღვნიშნოთ შემდეგი:

1. თუკი თურქეთის გუნდების ევროპის პირველობაზე მონაწილეობა უზრუნველყოფილია იმის გამო, რომ ამ ქვეყნის ტერიტორიის 3 პროცენტი მდებარეობს ევროპაში, ასეთი ალიბი საქართველოსაც აქვს. კერძოდ: როგორც ცნობილია, ევროპის და აზიის საზღვარი გადის კავკასიონის წყალგამყოფ ქედზე. მაგრამ არის ერთი მონაკვეთი — პანკისის ხეობაში, ომალოს მიმდებარე ტერიტორია, რომელიც განლაგებულია კავკასიონის წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთით, ევროპაში. მაშ რატომ არ შეიძლება ჩვენზეც გავრცელდეს უეფაში თურქეთის წევრობის წესი?

2. ევროპისა და აზიის საზღვარი ხმელთაშუა ზღვაში გადის კუნძულებს — კრეტასა და კვიპროსს შორის. ამ საზღვრის საფუძველზე კრეტა ევროპაა, ხოლო კვიპროსი მიეკუთვნება აზიას. მაშინ რატომ მონაწილეობენ ევროპის პირველობებზე ამ კუნძულის გუნდები?

თუკი უეფას პატივცემულ პრეზიდენტს დააფიქრებს ის, რომ ჩვენი გუნდების ევროპის ჩემპიონატზე დაშვების შემთხვევაში ამასვე მოითხოვენ სომხეთი და აზერბაიჯანი, აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ ფაქტს, რომ თბილისის „დინამო" უკვე იყო ევროპის ქვეყნების თასის მფლობელი. და ამ მხრივ უნდა დაიშვას გამონაკლისი.

ომარ ჩხეიძე.
ხირურგი.

პასუხად „გადავიდნენ აზიაში"

მაქვს რამდენიმე მოსაზრება:

1. შეიძლება ეს იყოს იმპერიული პრესის კიდევ ერთი დეზინფორმაცია, ჰორი.

2. ჩვენ, რასაკვირველია, აზიას ვეკუთვნით, მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ამიერკავკასია ტერიტორიულად აზიაში მდებარეობს. ისტორიას თუ გადავხედავთ, გეოგრაფები და გეოლოგები ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ კამათობდნენ კავკასიაში ევროპის საზღვრის დადგენის თაობაზე. იხილებოდა ვარიანტები:

ა) სასაზღვრო ხაზი გავლებულიყო ჩრდილო კავკასიაში მდინარეების კუმასა და მანიჩის დაბლობებზე. ერთი ჩაედინება შავ, მეორე — კასპიის ზღვაში. ამით მთელი კავკასია ხვდებოდა აზიაში.

ბ) საზღვრად მიჩნეულიყო კავკასიონის მთავარი ქედი, როგორც ახლაა მიღებული.

ამით კავკასიონის ჩრდილო ფერდობი და იქ მოსახლე ხალხები მოხვდნენ ევროპაში, სამხრეთის ფერდობი და ხალხები — აზიაში, მათ შორის, ჩვენც.

გ) საზღვარი გასულიყო მდინარეების — რიონისა და მტკვრის დაბლობებზე. კერძოდ, მდინარეები: რიონი — ყვირილა, ხაზი ლიხის ქედზე, მდინარე მტკვარი.

ამით მთელი კავკასია ექცეოდა ევროპაში. სამაგიეროდ, ნახევარი საქართველო და აზერბაიჯანი, შესაბამისად, ევროპასა და აზიაში.

ამ ვარიანტის მომხრეები ამას იმით ასაბუთებდნენ, რომ კავკასიონის ქედი წარმოშობით და ასაკობრივად პირინეების ქედის და ალპების თანადროულია, მათი წარმოშობა ერთ პერიოდში მოხდა, ამიტომ ისინი ერთ ერთეულს წარმოადგენენ და შესაბამისად კავკასიის ქედი ევროპის ნაწილს წარმოადგენსო.

დ) მეოთხე ვარიანტით, საზღვარი უნდა გასულიყო მდინარეებზე: ჭოროხი — არაქსი — მტკვარი.

ამ ოთხი ვარიანტიდან უპირატესობა მიენიჭა საზღვარს კავკასიონის მთავარ ქედზე, როგორც ბუნებრივ საზღვარს. ასე რომ, მოვხვდით აზიაში. მესამე (გ) ვარიანტის მიღების შემთხვევაში სანახევროდ „ევროპელები" ვიქნებოდით, რადგან სამხრეთ საქართველო მაინც აზიაში დარჩებოდა. მეოთხე ვარიანტი, როგორც იტყვიან, „მისწრება" იქნებოდა.

ჩვენი არგუმენტები უეფას მიმართ უნდა იყოს შემდეგი: ვაკვრით შავ ზღვას, პირით ევროპისკენ; შავიზღვისპირა მდებარეობა გვაძლევს „უფლებას" მივეკუთვნოთ ევროპულ მხარეს. ამას გარდა, ვენაში, ერთ-ერთ ეკონომიკურ კონფერენციაზე, მიგვაკუთვნეს ევროპულ ზონას თუ რეგიონს, ამის დოკუმენტი, რასაკვირველია, მოიძებნება.

ისრაელის კალათბურთელები, კლუბები და ნაკრები, თამაშობენ ევროპულ ტურნირებზე. ისრაელი ხომ ნამდვილი აზიაა ტერიტორიულად. ჯერ ჩვენი კალათბურთელები რომ გაწევრიანდნენ ევროპის ორგანიზაციებში. ალბათ, მეტი უფლებაც გვექნება შემდეგ ფეხბურთელების და სხვა სახეობების საკითხიც დავაყენოთ.

როგორც ცნობილია, თურქეთიც აზიის სახელმწიფოა. მისი ძალზე მცირე ნაწილი სტამბოლიანად მდებარეობს ევროპაში. თურქებმა სწორედ ეს გამოიყენეს.

თავდაპირველად ისინი აზიაში მოახვედრა უეფამ, მაგრამ მათ იბრძოლეს, ევროპაშიც გვაქვს ტერიტორია, ჩვენი უძლიერესი კლუბები „ფენერბახჩე", „ბეშიქთაში", „გალათასარაი" ტერიტორიულად ევროპაში იმყოფებიანო. იმასაც იტყოდნენ — ეს ჩემი პირადი აზრია — სსრკ-ის უდიდესი ნაწილიც აზიაში მდებარეობსო. თურქეთს, ალბათ, ისიც დაეხმარა, რომ ნატოს წევრი ქვეყანა იყო. აქ ჩვენც გვაქვს ხელმოსაკიდი თურქეთის მსგავსად. მართალია, აზიაში ვიმყოფებით ტერიტორიულად, მაგრამ საზღვარი ხომ კავკასიონის მთავარ ქედზე გადის და არა საქართველო-აზერბაიჯანის ადმინისტრაციულ და სახელმწიფო საზღვარზე. მთავარი ქედის გადაღმაა, ე. ი. ევროპაში ხევი (ყაზბეგის რ-ნი), თუშეთი და ნახევარი ხევსურეთი; ე. ი. ფაქტიურად, ევროპაშიც გვაქვს ტერიტორია (გავიხსენოთ თურქების განცხადება თუ პოზიცია), პრინციპულად ეს ასეა.

სასწრაფოდ უნდა შევქმნათ კლუბები ყაზბეგში, ომალოში, შატილში, რომლებიც ითამაშებენ საქართველოს ჩემპიონატის რომელიმე ლიგაში მაინც. შატილში და ომალოში ამის გაკეთება, რასაკვირველია, ძნელია, თითქმის დაუსახლებელი ადგილებია, მაგრამ აქ საჭიროა არა მარტო საფეხბურთო, არამედ სახელმწიფოებრივი მიდგომაც. ეს მხარეები ასათვისებელია. სახელმწიფო ორგანიზაციებთან და „მთიელთა კავშირთან" ერთად ეს საკითხიც უნდა განვიხილოთ და კონკრეტული ძალისხმევაც გამოვიყენოთ. ეს რთული, მაგრამ აუცილებლად მოსაგვარებელი საკითხია.

უეფა-მ ალბათ ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ ყოფილი თბილისის „დინამო" წლების განმავლობაში მონაწილეობდა ევროპულ ტურნირებში და საკმაოდ წარმატებითაც.

ლევან მეძღლიშვილი,
გეოგრაფი.

რედაქცია კიდევ ერთხელ სთხოვს შესაბამის ოფიციალურ დაწესებულებებს და სპეციალისტებს გამოთქვან აზრი ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ყველა ფინალისტი ცნობილია

გერმანელმა ფეხბურთელებმა საკმაოდ იოლად მოუგეს შინ, ლევერკუზენში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ლუქსემბურგის ნაკრებს — 4:0 (V ჯგუფი) და კონტინენტის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალის ბილეთი, მერვე საგზური მოიპოვეს.

ფინალისტთა შორის არიან: შვეცია (ფინალური ტურნირის მასპინძელი), ჰოლანდია, საფრანგეთი, ინგლისი, შოტლანდია, სსრ კავშირი, იუგოსლავია, გერმანია.

V შესარჩევი ჯგუფის საბოლოო ცხრილი ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
გერმანია	6	5	0	1	13-4	10
უელსი	6	4	1	1	8-6	9
ბელგია	6	2	1	3	7-6	5
ლუქსემბურგი	6	0	0	6	2-14	0

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო

საქართველოს რესპუბლიკის ქართული ჭიდაობის ფედერაცია

საქართველოს აბსოლუტური ფალავნობა

თბილისის სპორტის სასახლე

დაჯილდოება: გამარჯვებულებს და პრიზიორებს გადაეცემათ ფულადი პრემიები: I ადგილისთვის — 2000 მან., II ადგილისთვის — 1500 მან., III ადგილისთვის — 1000 მან. ეს, რაც შეეხება წონით კატეგორიებს. აბსოლუტურ წონაში გამარჯვებულ მოჭიდავეს ენიჭება აბსოლუტური ჩემპიონის წოდება, დაჯილდოვდება ოქროს მედლითა და ფულადი პრემიით 10 000 მანეთის ოდენობით. II პრიზიორი მიიღებს ვერცხლის მედალს და ფულად პრემიას — 4000 მანეთს. III ადგილზე გასულს გადაეცემა ბრინჯაოს მედალი და ფულადი პრემია 2 000 მანეთის ოდენობით.

ამონაწერი დებულებიდან: შეჯიბრება ჩატარდება ქართული ჭიდაობის მოქმედი წესებით. ფალავნობაზე დაიშვებიან 1973 წელს და უფრო ადრე დაბადებული ათლეტები ოთხ წონით კატეგორიაში. (78 კგ, 84, 90. და 90 კგ-ზე მძიმე). თითო წონაში გამოვა 16 მოჭიდავე, სულ კი იასპარეზებს 64 ფალავანი.

შეჯიბრების პროგრამა: 21 დეკემბერი. მონაწილეთა აწონვა და კენჭისყრის შემდეგ 11 საათზე დაიწყება წინასწარი შეხვედრები. 16 საათზე მოეწყობა ჩემპიონატის საზეიმო გახსნა, მერე კი გაგრძელდება წინასწარი შეხვედრები.

22 დეკემბერი. შეჯიბრება დაიწყება 11 საათზე. მოეწყობა ჯერ წინასწარი შეხვედრები, მერე ნახევარფინალური და ფინალური ბრძოლები, გამარჯვებულთა დაჯილდოება.

21-22 XII 1991

მედალიც და მოწონებაც...

ოთხმა თბილისელმა სპორტსმენმა იასპარეზა ლატვიაში საერთაშორისო ტურნირზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რომელშიც მათთან ერთად მონაწილეობდნენ სკანდინავიის ქვეყნების, გერმანიის, პოლონეთის, უკრაინის, ბელორუსიისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ათლეტები. მონაწილეთათვის ეს შეჯიბრება ერთ-ერთი მოსამზადებელი ეტაპი გახლდათ მომავალი ევროპის ჩემპიონატისა და ოლიმპიური თამაშებისთვის. აქვე გამოსცადეს ფილის ახალი წესები მსაჯობაში. ჩვენი ფალავნების ნადავლი ასეთია: გოჩა ციციაშვილმა (82 კგ) და მძიმეწონოსანმა ბაკურ გოგიტიძემ პირველი ადგილები დაიკავეს, გიორგი ივანიშვილმა (52 კგ) და გიორგი ადეიშვილმა (74 კგ) — მეორე. სპეციალისტების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ახალგაზრდა მოჭიდავის გოჩა ციციაშვილის გამოსვლამ.

...უდავოდ წარმატებაა

სპორტული ორიენტირება სამხედრო-გამოყენებითი სპორტია. იგი თანდათან იკრებს ძალას საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვით სპორტულ-ტექნიკურ კლუბში. ამას წინათ ამ კლუბის წევრები ეროვნული დროშით მონაწილეობდნენ საერთაშორისო ასპარეზობაში „ვოლგა-91“, სადაც მსოფლიოს 5 ქვეყნის წარმომადგენლები გამოდიოდნენ. პირად პირველობაში გ. დიაკონიძემ და გ. ელისაშვილმა მეორე და მეოთხე ადგილები დაიკავეს. ეს უდავოდ წარმატებაა, რადგან სპორტის ეს სახეობა ჩვენში ახლა დადგა განვითარების სწორ გზაზე.

ავთანდილ აბულაძე

გახსენება

ჯემალ აბაიშვილი

დრო ვერაფერს დააკლებს მის სახელს. პირიქით, რაც ხანი გავა, მეტი დიდებით შეიმოსება ლეგენდა ჯემალ აბაიშვილზე — შესანიშნავ ხელბურთელზე, რომელიც ვირტუოზული თამაშით დიდხანს ანცვიფრებდა არა მარტო გულშემატკივრებს, არამედ თვით ხელბურთის ოსტატებსაც კი.

უბადლო იყო იმ პერიოდის ქართული ხელბურთი. ჯემალ აბაიშვილი კი მეკარის განუმეორებელი ოსტატობით გამოირჩეოდა ხელბურთის მსოფლიო სამყაროში.

სარბიელიდან წავიდა, მაგრამ მაინც ხელბურთში დარჩა, დარჩა იმიტომ, რომ სხვაგვარად არ შეეძლო, საქმეშიც ისე უშურველად იწვოდა, როგორც სპორტული ასპარეზობისას. სამართლიანი იყო და გულალალი, თავმდაბლობა შვენოდა, ხელოვნებასთან იყო წილნაყარი და იცოდა სიცოცხლის, მშვენიერების ფასი. ვაგლახ, რომ ბევრი ჩანაფიქრის ხორცშესხმა ვერ მოასწრო, არადა, რამდენს ოცნებობდა.

უკვე მესამე წელიწადია, ოჯახის წევრები, მეგობრები და თაყვანისმცემლები სევდიანი, დამძიმებული გულით ეგებებიან ყოველ 21 დეკემბერს, ჯემალის დაბადების დღეს.

ისეთი სპორტსმენების ხსოვნას, როგორიც ჯემალ აბაიშვილი იყო, დავიწყების ბურუსი არასოდეს გადაეფარება, ასეთები უკვდავებაში გადადიან და მათ მუდამ ღირსეულ პატივს მიაგებს მადლიერი შთამომავლობა.

თანაგუნდელები

თენგიზ გასვიანი

1958 წელს გამორჩეულ სპორტსმენთა კიდევ ერთ თაობას გაუხსნა კარი ჩვენმა ფიზკულტურის ინსტიტუტმა. წლების შემდეგ ამ თაობამ საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზეც გამოიჩინა თავი. მათ შორის იყო თენგიზ გასვიანი, რომელმაც მთელი ცხოვრება სტუდენტთა აღზრდის საქმეს მოახმარა — ჯერ მშობლიურ ინსტიტუტში, შემდეგ პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში.

თ. გასვიანი უნივერსალური ათლეტი იყო — სპორტის 18 სახეობაში ჰქონდა სპორტული თანრიგი, მთავარი კი მისთვის თავისუფალი ჭიდაობა იყო, გახდა სპორტის ოსტატი, შემდეგ — უმაღლესი კატეგორიის მსაჯი.

აღმზრდელის, მეგობრობის, კაცურ კაცობის საუკეთესო თვისებები ჰქონდა ჯილდოდ ბუნებისგან მომადლებული. იმდენად თავმდაბალი იყო, ბევრმა თანაკურსელმა არც კი იცოდა, რომ ჯერ კიდევ VIII კლასის მოსწავლე, ერთ-ერთი იყო იმათთაგან, ვინც 1956 წლის სისხლიან ცხრა მარტს დაიჭირა კავშირგაბმულობის სახლთან.

ხვალ 50 წლის გახდებოდა. მძიმე სენით შეპყრობილი ამ ერთი წლის წინათ ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან, ოჯახს, მეგობრებს, ნაცნობებს ნუგეშად დაგვიტოვა სპეტაკი პიროვნების, პატრიოტის, ჭეშმარიტი ქართველი კაცის ნათელი ხსოვნა.

თანაკურსელები

ნიკოლოზ (ნიკოლა) სტრელცოვი



თითოეულ ჩვენგანს რაღაც ადამიანური ნაკლი გვაქვს, ვერაფრით ვერ ვიხსენებთ რაიმე ხინჯს კოლია სტრელცოვის ხანმოკლე ცხოვრებიდან — ამბობენ ტრაგიკულად დაღუპული ნიკოლოზ სტრელცოვის თვალცრემლიანი მეგობრები.

ზემო ავჭალაში გაზრდილმა ყმაწვილმა ცურვა და ნიჩბოსნობა იქვე ახლოს, მტკვარზე შეისწავლა, რაოდენ გულსატკენია, რომ სწორედ საყვარელი მდინარის ტალღებს ემსხვერპლა შეგირდების წვრთნის დროს 29 წლის ვაჟკაცი.

შვილს ელოდა და ვერ იხილა... ბევრი განუხორციელებელი ოცნება დარჩა აუხდენელი.

ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა იყო მისი უპირველესი გატაცება, არაერთხელ მოუპოვებია საქართველოს ჩემპიონობა, იყო „ლოკომოტივის“ საკავშირო პირველობაში გამარჯვებული.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრა, ექვსი წელი იმუშავა მოსწავლე-ნიჩბოსნების მწვრთნელად, მრავალი ნიჭ[illegible] ყმაწვილი აღზარდა და გზაზე [illegible]აყენა.

ალალ-მართალი, ვაჟკაცური ბუნების ადამიანი დააკლდა ოჯახს, ხალხს, ნორჩ სპორტსმენებს.

საქართველოს სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს ოლიმპიური რეზერვის სასწავლებელი.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

ქაღალდის დეფიციტის გამო „ლელო“ დროებით გამოდის კვირაში სამჯერ — სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

მესხი და გაბრიჩიძე ათეულებში

ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩოგბურთის ფედერაციამ მოაწყო ადრე მის შემადგენლობაში შემავალ ჩოგბურთელთა კლასიფიკაცია იმ ტურნირების შედეგთა საფუძველზე (მათი რიცხვი ათასს აჭარბებს), რომლებიც წლის განმავლობაში ჩატარდა. აი, როგორ გამოიყურება ქალთა და ვაჟთა ათეულები:

ქალები

1. ლელა მესხი (თბილისი)
2. ნატალია ზვერევა (მინსკი)
3. ლარისა სავჩენკო (ლვოვი)
4. ნატალია მედვედევა (კიევი)
5. ელენა ბრიუხოვეცი (ოდესა)
6. ევგენია მანიუკოვა (მოსკოვი)
7. იულია სალნიკოვა (მოსკოვი)
8. ვიქტორია მილვიდსკაია (მოსკოვი)
9. ტატიანა იგნატიევა (მინსკი)
10. ელენა მაკაროვა (მოსკოვი)

ვაჟები

1. ანდრეი ჩესნოკოვი (მოსკოვი)
2. ანდრეი ჩერკასოვი (უფა)
3. ალექსანდრე ვოლკოვი (კალინინგრადი)
4. დიმიტრი პოლიაკოვი (ხარკოვი)
5. ანდრეი ოლხოვსკი (მოსკოვი)
6. ვლადიმერ გაბრიჩიძე (თბილისი)
7. ანდრეი მედვედევი (კიევი)
8. ანდრეი მერინოვი (მოსკოვი)
9. სერგეი სკაკუნი (მინსკი)
10. ანდრეი რიბალკო (კიევი)

სააქციონერო საზოგადოება

„საქართველოს უნივერსალური ბირჟა“

სააქციონერო საზოგადოება
„საქართველოს უნივერსალური ბირჟა“
პირველი ბირჟა საქართველოში, რომელმაც გასცა აქციის სერტიფიკატი (ფასიანი ქაღალდები) არის

სააქციონერო საზოგადოება „საქართველოს უნივერსალური ბირჟა“
აქციებზე ხელმოწერა გრძელდება.
აქციის ღირებულებაა — 50 000 და 10 000 მან.

FESTINA LENTE!

იჩქარეთ დინჯად!

მსურველებმა უნდა შეიტანონ შესასყიდი აქციის ღირებულება სააქციონერო საზოგადოების ანგარიშზე: 000161103.

კომერციული ბანკი „დრო“, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის საოპერაციო სამმართველო, კოდი 521006.

კერძო პირთათვის გადასახდელი თანხის შეტანა შეიძლება იმავე ანგარიშზე ნებისმიერ შემნახველ ბანკში.

ტელეფონები: 96-43-69, 96-43-66, 96-43-71.

„ლელოს“ რედაქცია განუხრელად ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის პრესის კანონით.
„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. კორქია, კორექტორები: მ. ძეძამიძე, ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, მ. კოსტავას, 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხების გაცემის საშუალება არ გვაქვს. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კომბინატში, [illegible], 28.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20.